ოქმი:**ო37.37221851**

თარიღი:**04/07/2022**

ოქმი # 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2022 წელი, 30 ივნისი

ქ. ოზურგეთი

16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, ალ. ბურჭულაძე, გ. ჩავლეშვილი, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე, დ. ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარე, დ.დარჩია, მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი დამატებითი საკითხი. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ.კოდი 0211) განხორციელების შესახებ.“

დღის წესრიგი დამატებით საკითხთან ერთად დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 384 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ.N26.01.82.210) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ.კოდი 0211) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

საკითხი განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიებს **(გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე)** ბიუროს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხებზე და

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი, განსახილველად და დასამტკიცებლად შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, N2 საკითხი დაეწეროს შესაბამისს დარგობრივ კომისიებს და კომისიების განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი